„კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს
გურიის დისტრიბუცია გილოცავთ შობა-კალანდას!
მის. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №73

რესტორანი „ფიროსმანი“
გილოცავთ შობა-კალანდას!

მის: ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. № 8

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10341) 13 იანვარი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ტრადიციული „ალილო“ ოზურგეთში

ალიონი. მსვლელობას, რომელსაც წინ სასულიერო პირები და თავად გურიის ეპისკოპოსი მეუფე იოსები მიუძღვოდნენ, ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო. მათ ოზურგეთის ცენტრალური ქუჩები გაიარეს. პირველი შემოწირულობა – ტკბილეული ოზურგეთის თეატრის კოლექტივმა შეაგება „ალილოს“ მსვლელობის მონაწილეებს. თანდათან ივსებოდა შემოწირულობებით „ნიკორას“ ურმის კოფო.

ალილოს მსვლელობას მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეუერთდნენ. მათ მონაწილეებს საახალწლო ნობათი და ტკბილეული გადასცეს.

შემდეგ საშობაო ნობათით დატვირთულმა „ნიკორამ“ ვეღარ შეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება და ურემი ავტომ შეცვალა.

ამ დღეს ალამაზებდა ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის (ლაშა ჩხარტიშვილი) საგალობლები.

როგორც ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა მამა ვასილმა (კვირჩილაძე) გვითხრა, შემოწირულობები შეჭირვებულ ოჯახებს და ბავშვთა სპეციალურ დაწესებულებებს გადაეცათ.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი 13 იანვარს გურიის რეგიონს ეწვევა

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** რეგიონში სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ადგილობრივ ხელისუფლებას შეხვდება და რეგიონში არსებულ ვითარებას გაეცნობა.

დაგეგმილია პრეზიდენტის შეხვედრები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, ლანჩხუთის საფეხბურთო აკადემიაში – სპორტსმენებთან და ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში – ფოლკლორის სფეროს წარმომადგენლებთან.

14 იანვარს, საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს საქართველოს პრეზიდენტი ჩოხატაურში, სოფელ გორაბერეჟოულში აღნიშნავს: სახელმწიფო დროშას ერისთავების ციხე-სიმაგრეზე აღმართავს და საქართველოს მოსახლეობას სიტყვით მიმართავს.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით კი, 14 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ეწვევა, რეაბილიტაციის პროცესს გაეცნობა და ქართულ საზოგადოებას თეატრის დღეს მიულოცავს.

პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, სოფელ დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმს ესტუმრება, ღონისძიებას „კალანდა 2020“ დაესწრება და ოზურგეთის რეაბილიტირებულ, ისტორიულ, პირველ საჯარო სკოლას დაათვალიერებს.

სალომე ზურაბიშვილი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში საშობაო სპექტაკლს დაესწრება, რომელიც ადმინისტრაციის მხარდაჭერით, რეგიონში ლიცენზირებული და მოქმედი ბავშვთა სახლების ბენეფიციარებისათვის ჩატარდება.

აღნიშნული კატეგორიის ბავშვებისათვის, 19-20-21 დეკემბერს სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად საბავშვო სპექტაკლები ჩატარდა ასევე, თბილისსა და საქართველოს 11 ქალაქში. საახალწლო საჩუქრები და ტკბილეული კი, 110 ბავშვთა სახლსა და სხვადასხვა დაწესებულებებს გადაეცათ.

იკითხეთ გაზეთი „ალიონი“
საცალო ფასი – 60 თეთრი
ხელმოწერა:
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

პროდუქტები, რომელიც დეკემბერში ყველაზე მეტად გაძვირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.4%, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 7 პროცენტი შეადგინა.

ამავე პერიოდში თამბაქოს გარეშე ინფლაციის მაჩვენებელმა წინა თვესთან შედარებით 0.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების 6.3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ იმ ტოპ 10 პროდუქტის ჩამონათვალს, რომელზეც დეკემბერში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები:

- **ნიორი - 127.72%-ით;**
- **წიწიბურა - 73.95%-ით;**
- **საქალაქთაშორისო ტელეფონის გადასახდელი - 68.29%-ით;**
- **საზამთრო - 60.22%-ით;**
- **ვაშლი - 50.34%-ით;**
- **ატამი - 36.01%-ით;**
- **მარილი - 32.65%-ით;**
- **მანდარინი - 31.97%-ით;**
- **ჭარხალი - 31.74%-ით;**
- **ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტი - 31.40%-ით.**

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

შობა-კალანდის რიტუალები გურიაში



საშობაო სამზადისი

შობის წინ 4-5 დღით ადრე ქალები კვერცხს მაგრად მოხარშავდნენ. მოხარშულ კვერცხს ჩეჩოზე დაწყობდნენ და ოჯინ-ჯალაზე გამოჰკიდებდნენ, ცეცხლის სიმხურვა-ლით კვერცხები ხმებოდა, იჭვარტლებოდა და ქვასავით მაგარი ხდებ-ოდა., რომელსაც შემდეგ მუცლის სალოცავისა და ღვეძლისათვის იყენებდნენ.

,,შობის წინა დღით ,,ბრავაწობა“ თენდება“, - გადმოგვცემს ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე. ამ დღით ოჯახის უფროსი, რამდენიმე ოყა ,,ყირიმის“ თეთრ პურის ფქვილს მოიტანდა დუქნიდან. უმეტესობა კმაყოფილდებოდა შინაური თალხი ფქვილით, რომელიც ზოგიერთებს მანც მოჰყავდათ, რამდენიც საკიდღეოდ ეყოფოდათ. დედაკაცები დილით შეუდგებოდნენ სახვალიო სამზადისს, პურის ფქვილს მოზელდნენ ,რომ ,,წამოღუ-ებულიყო“ და საღამომდე თბილად შეინახავდნენ. სასუქიდან ქათმებს გამოიყვანდნენ, საცივს გააკეთებდნენ. ,დამარილებულ ჩიტებს, ქოთნით შენახულს კი, ,,ჩაზუბზუბებდნენ“. საღამო ჟამს კეცებს გაახურებდნენ და დააცხობდნენ ღვეძლებს და მუცლის სალოცავ კვერებს.

მუცლის სალოცავი

მუცლის სალოცავი პატარ-პატარა კვერებია ყველით გატენილი, შუაზე ერთი კვერცხია მოთავსებული. ღვეძელი სამკუთხედია. გურულების ღვეძელს ნახევარ მთვარის ფორმა აქვს (რაც ძველი გურულების რწმენით ციური სხეულების თაყვანისცემას უკავშირდება, მასში ჩატანებული კვერცხი ხვავის, ბარაქის ,ოჯახის სიმტკიცისა და გაუტეხლობის სიმბოლო იყო). და მას სათითაოდ აცხობდნენ ,იგი არაა ერთი ზომის და ღირსების ,აცხობდნენ საუფროსოს და საუმცროსოს. ზოგს 4-5 კვერცხს მიურთავდნენ და ისიც მთელს. ზოგში - 2-3 კვერცხს. განსაკუთრებით გამოაცხობდნენ სასტუმრო და მეალილოეს საჩუქარ ღვეძელს.

დილით, ძალიან ადრე ოჯახის დედა ქალი მუცლის სალოცავს თითოეულ შვილს სამ-სამჯერ შემოავლებდა მუცელზე და ილოცებდა: ,,ამის მუცლის სატკივარი აღმა ქარს დაღმა წყალს“. მუცელზე შემოვლებულ კოკრებს ბავშვები მაშინვე ჭამდნენ ერთი მეორის შეთავაზება ,თუნდაც ერთი ,,ვინჩხა“(ნამცეცი) არ შეიძლებოდა, რადგან ნატეხს მუცლის ტკივილი გადაყვებოდა. და სხვისი ავადმყოფობა ვის რად უნდოდა. რაკი მუცლის სალოცავს მთლიანად შეჭამდენ, ამით მთელი წელი მეორე შობამდე მუცლის ტკივილისგან დაზღვეული იყვნენ.

დილას გაჩაღებული ცეცხლის პირას, ცეცხლისა და ქონის ჭრაქის სინათლეზე ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ საოჯახო სუფრას და მიირთმევდნენ მშვენიერ საუზმეს, რომელსაც არც ღვინო აკლდა. ჯერ კიდევ ბნელოდა ისე, რომ ზოგიერთი ,,ალცარიე“(ზარმაცი) გათენებამდე ერთ წაძინებასაც მოასწრებდა.

ბუდუა - ნათლულის საშობაო შეხვედრა

შობის დღესასწაულის ერთ-ერთი რიტუალი იყო ბუდუა- ნათლულის მოყვრების საშობაო შეხვედრა.

შობის საღამოს წირვის დაწყებამდე ბუდუას (ნათლიას) ნათლულიდან საშობაო ძღვენიც მოუვიდოდა. ეს იყო ფიჭვის ყავარზე დაკრული 30-40- კვერცხიანი ,,საიასაღო“(საგანგებო) ღვეძელი, ,,კურტუმჩაყვითლებული“ ყვერული, ფინჩხაურით (მოხრდილი საღვინე დოქი), ჩხავერის ღვინო და ნათლულის ნახელავი წინდა. სამაგიეროდ მოყვრებს სადილი ერთად უნდა ეჭამათ. ძღვენის -მოსაკითხის გამომცზავნი ნათლიამ უნდა დაპა-ტიჟოს და თან სტუმრებიც მოუპა-ტიჟოს.

ნათლია თუ თავადი ან გავლენიანი აზნაური იყო ან ბობოლა ,,ჩინოვნიკი“, მაშინ 60-კვერცხიან ღვეძელს გამოუცხობდნენ და გარდა კვერცხიასა 10-15 მსუქან შაშვს წინასწარ ,,მონწალულს“(მდუღარეში ცოტა ხნით ნამყოფს) ჩაურთავდნენ, რომელიც ღვეძლის ცხობის დროს შეიწვებოდა, ჩხავერის ღვინოსთან ერთად, ასეთ ძღვენს ახლდა სანთლის არაყი. შობის სადილი იყო ,,ძირდადგმული“, დარბაისლური. სიმ-ღერა, ფიშტოს სროლა, ჩონგურის დაკვრა და ზედ დაღირინება, ცეკვა - ყველაფერი ეს ჭამის მადას აღძრავდა და მასპინძელი ქალიც წამოსამატს (შემწვარი ჩიტს) და ხაჭაპურს არ ზოგავდა ,აურზაური და ჩხუბი წარმოუდგენელი იყო. როგორც სიამტკბ-ილობით დასხდებოდნენ, ასევე მოყვრულად გამოეთხოვებოდნენ ერთმანეთს და გამომშვიდობებისას იტყოდნენ: გაის ამ დროს კიდევ ასე კარგად მყოლოდეს თქვენი თავი. თქვენიანებ და თქვენი კარგად ყოფნით, უპასუხებდა მასპინძელი. შობის მეორე დღე -,,შობის დედაც“ უქმე იყო, პირის გემო და სიამოვნება იმ დღესაც არ აკლდათ.

ალილო

ალილო მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, ქართული საწესო სიმღერა იყო. შობის წინა ღამეს შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი, ჩამოუვლიდა ოჯახს სიმღერით, დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღერლებს სანოვაგით ასაჩუქრებდა, გურიაში მეალილოსათვის სპეციალურ ღვეძელს აცხობდნენ. ალილოს ტექსტებში ,,ოცდახუთსა დეკემბერსა“, ,,ჩიტი ღობესა შემოჯდა“ გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი.

გურულს ყველა დღესასწაული უყვარს, მაგრამ კალანდას და აღდგომას არაფერი ურჩევნია.
აპოლონ წულაძე

კალანდა (ახალი წელი)

კალანდის შესახვედრად აუცილებელი იყო შემდეგი რიტუალების შესრულება: ცხემლისჭრა საღამო, გასალოცი გობის მომზადება, ჩიჩილაკის ახდა, გალოცვა, ანუ ფეცხვა, ცეცხლის გალოცვა, ბედობის დღე ,აგუნას გადაძახილი, წმინდა ბასილის ლოცვა.

გურიაში ახალ წელს კალანდა ეწოდება და მას თოფების გასროლით ხვდებიან.გურულები

კალანდისათვის მზადებას ადრიანად იწყებდნენ ბარბარობამდე ორი- სამი დღით ადრე მეოჯახე კაცი მიდის ტყეში მოჭრის ველური თხილის წნელს, მოიტანს სახლში მოღობავს ძარას, ანუ სასუქს. ბარბარობა დღე ქათმების პატარა დღეობაა . ამ დღეს მეოჯახე ქალი ქათმების დაპურების დროს არჩევს, ბებერს, ნაკლებ კვერცხის მდებელს,ცუდ მკეკელს ,ფრთხუს, უვარგის,მოჭვას, რომელიც სადგამურად არ გამოდგება, აგრეთვე ყვერულს, რომელიც საგანგებოდ საკიდღეოდ ჰყავს გამოზრდილი. ბარბარობიდან ერთი კვირის შემდეგ განსაკუთრებულ ადგილას ,საგანგებო სამწყდეგში ჩასვამდნენ ღორს, ქათმებიც და ღორიც სასუქში უნდა ყოფილიყო, ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა დაესწრო და სასუქში მყოფთათვის ,,კეკალი“ დაეყარა , წყალიც დაესხა და თან ეთქვა: სუქ,სუქ, სუქ. ღორი პირველ დღეებში პატივს იღებს, ხარბად ჭამს ,სიმნდის დაყრის დროს როთინით ხვდება ,შემდეგ კი,როცა სიმსუქნე სძლევს,საჭმლით გულს იმსუყებს, ზარმაცობა ეპარება, უხალისობა ეტყობა, წვება და ნებივრობას იწყებს“. (აპოლონ წულაძე).

ცხემლის ჭრა

ახალი წლის კალანდის წინა დღეს ცხემლისჭრა საღამო ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და ცხემლის შეშას დაამზადებდა. უძველესი დროიდან ოჯახში ცეცხლის ჩაქრობა დიდ უბედურებად ითვლებოდა , ცეცხლი სახლის (სამზადი) შუა ადგილას იყო გაჩაღებული, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ ოჯახის ყველა წევრი შემოსხდომოდა ირგვლივ და გამთბარიყვნენ. გურიაში სამზად სახლში დღესაც ანთია შუა ცეცხლი კერიით კერია (კერა) წარმოადგენს მოგრძო ქვას, რომელსაც შეშას დააყრიან, თავებს კერიაზე ჩამოუდობენ, ასეთ შემთხვევაში შეშას ცეცხლი უფრო კარგად ეკიდება. ცეცხლის გაქრობა და კერიის გაცივება დიდ უბედურებად ითვლებოდა. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობაჰქონდა ცეცხლის გატანას (გაუქრობლად შენახვა) მტკიცდებოდა შელოცვით, რომელსაც გურიაში მიმართავდნენ, საღამობით დაწოლის წინ ხის მუგუზალს შეახვევდნენ ნაღვერდალში- ცეცხლს დაახვეტდნენ, რომელსაც შემნახველი შემდეგი სიტყვებით შეულოცავდა:

ცეცხლო ელოდე-მელოდე,
მე მელოდე,მზეს ელოდე,
მთვარეს ეთაყვანებოდე,
დილით ადრე ავდგებოდე,
დოხჩაური დამხვდებოდე.

დოხჩაური ხალხური გაგებით დიდი, ანუ გაღვივებული ცეცხლია. ცნობილია,რომ ცხემლის შეშას უფრო მაგრად ეკიდება, ვიდრე თხმელის, ან სხვა მცენარისასმას ღვთაებრივ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ.

ცხემლის ჭრა დღეს, დილით სასუქში ჩაყრილ ფრინველებს და საახალწლო ღორს დაკლავდნენ.ცხემლის ჭრა დღის ვახშამს ამზადებდნენ გასუქებულელი ქათმის კუჭ-ფილტვისაგან და თავ-ფეხისაგანრომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თქმულებაც კი არსებობდა: ,,ახალწლის სადილს შეველევი და ცხემლის ჭრის ვახშამს კი ვერაო“.

ჩიჩილაკის ახდა

საახალწლო გასალოც ელემენტებს შორის ჩიჩილაკს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი ეჭირა. ჩიჩილაკი ნედლი ხის ნაწარმია, რომელზედაც შეთლილია დახუჭუჭებული მერქნის გრძელი ანათალი.

ჩიჩილაკის დამზადება

ჩიჩილაკის დამზადება ხდებოდა თხილის, წაბლის ან ლეღვის ახლად მოჭრილი ღეროებისაგან, აღნიშნულ ღეროებს მოთუთქავდნენ (გაავლებდნენ) ნაღვერდალში, გააცლიდნენ კანს და შემდეგ ძირიდან ზევით ათლიდნენ მერქნის თხელ ერთი მილიმეტრის სისქის ღეროებს, ეს ღეროები კულულებად უნდა ყოფილიყო დახვეული. დასადგმელად გაუკეთებდნენ სამ ფეხს, წვეროზე კი ქოჩორს.გურიაში წინათ იშვიათი იყო ოჯახი, სადაც არ იცოდნენ ჩიჩილაკის ახდა. საახალწლო რიტუალის დროს გურიასა და სამეგრელოში აუცილებელი ელემენტი იყო. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ძველი ხალხური გადმოცემით, ჩიჩილაკი მზის ემბლემას წარმოადგენს და მის ქვემოთ დაშვებული კულულები მზის სხივების სიმბოლოებია. დამთავრებდნენ ჩიჩილაკის ახდას და შეუდგებოდნენ მის მორთვას. ჩიჩილაკს რთავდნენ კურკანტელით, სუროს ყლორტებით, საზამთროდ დამზადებული დაჩამიჩებული ყურძნის აკიდოებით, ჩურჩხელებით, ბროწეულით, პატარა ყველიანი პურით და სხვა.

ჩიჩილაკს წარმართობის დროინდელ ბასილას წვერებს ადარებდნენ, ქრისტიანობაში - წმინდა ბასილის წვერს. სიცოცხლის ხესაც ეახდნენ,იმიტომ რომ კერა, სახლი ქართველ კაცს სიცოცხლის სიმბოლოდ ადამიანის ზეცასთან შემაკავშირებელელად ესახებოდა, რომელსაც განასახიერებდა ჩიჩილაკი.

წმინდა ბასილს ოჯახის უფროსი მამაკაცი შესთხოვდა დამდეგი ახალი წელი

გვ-7

ქართული თეატრის დღე

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის გამოცემა

13 იანვარი, 2020წ

გვილოცავენ

თეატრალურ საზოგადოებას ვულოცავ ქართული თეატრის დღეს! გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს, პრემიერების სიუხვეს, ერთგულ მაყურებელს და ბევრ, გულწრფელ აპლოდისმენტს. საამაყოა, რომ რეგიონში გვაქვს ასეთი წარმატებული და დიდი ტრადიციების მატარებელი თეატრი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის თეატრალური ცხოვრების განვითარებაში და ასევე, წარმატებით ეწევა ქართული კულტურის და ხელოვნების პოპულარიზაციას ქვეყნის გარეთ. აღსანიშნავი და სასიხარულოა ის ფაქტი რომ, მიმდინარეობს ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია, რომელიც ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ხორციელდება. ძალიან მალე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, რეაბილიტირებულ თეატრში შევძლებთ ვუმასპინძლოთ სხვადასხვა თეატრალურ დასებს. კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, გისურვებთ ქართული თეატრალური ხელოვნების ახალ და განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას.

პატივისცემით,
გურიაში სახელმწიფო რწმუნებული
ზურაბ ნასარაია

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა! ქართული თეატრის დღე ქვეყანაში უკვე 170-ედ აღინიშნება!.

ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ოზურგეთში 152 წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მის სცენაზე არაერთი ცნობილი სპექტაკლი დაიდგა, რითაც ოზურგეთის თეატრმა მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის თეატრალური ცხოვრების განვითარებაში. 2005 წელს კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ იგი აღიარებულ იქნა როგორც საუკეთესო რეგიონული თეატრი.

ოზურგეთის დრამატული თეატრისა და მისი დასის წარმატება უკავშირდება ისეთი ნიჭიერი და ყველასაგან გამორჩეული სამხატვრო ხელმძღვანელის მოღვაწეობას, როგორიც ბატონი ვასილ ჩიგოგიძე გახლავთ. ადამიანს, რომელმაც პირდაპირი მნიშვნელობით გამოაცოცხლა და ახალი სუნთქვა შესძინა ოზურგეთში თეატრალურ ცხოვრებას. ჩვენი თეატრი წარმატებით მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში , არის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მთავარი დამფუძნებელი და მრავალი საინტერესო ჯილდოს მფლობელი.

მოხარული ვარ, რომ ვართ მომსწრე ის ისტორიული მოვლენისა, რასაც ოზურგეთის დრამატული თეატრის მასშტაბური რეაბილიტაცია ქვია. როცა „ქართუ ჯგუფი“ მის რეკონსტრუქციას დაასრულებს, იგი თავისი განახლებული ისტორიის ათვლას დაიწყებს.

ყველა თეატრალსა და თეატრის მოყვარულს, ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, ჩვენს თეატრს ვუსურვებ კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას და საერთაშორისო წარმატებებს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
კონსტანტინე შარაშენიძე

p.s. *შარშან, ქართული თეატრის დღეს, ქ. თელავში, ქართული თეატრის მხარდაჭერისათვის, კონსტანტინე შარაშენიძე საუკეთესო მერად დასახელდა.*

***

ძვირფასო გურულებო! გილოცავთ ქართული თეატრის დღეს - 14 იანვარს. ქართული თეატრი ამ დღიდან აოცებს მსოფლიოს ჩვენი ეროვნული საგანძურით. სცენის მოღვაწეებს გისურვებთ მრავალი წელი გეღვაწოთ ამ საოცრად მშვენიერ სამყაროში.

ვლადიმერ სიხარულიძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური, კულტურის, განათლებისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

***

გილოცავთ ჩვენო საამაყო თეატრის მოღვაწეებო ქართული თეატრის დღეს. თქვენ უდიდეს საქმეს ემსახურებით. მადლობა დაუღალავი შემოქმედებითი ძიებისთვის. კვლავ მრავალჯერ გაგეხარებინოთ მაყურებელი მაღალ პროფესიულ დონეზე განხორციელებული სპექტაკლებით.

დავით გუდავაძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

***

ჩემო გურულებო! გილოცავთ შესანიშნავ თარიღს – 14 იანვარს. მოხარული და ამაყი ვარ, რომ გურულმა მსახიობებმა, კერძოდ კი, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, თავისი შემოქმედება მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გააცნო. მადლობა თქვენ ამისთვის და გისურვებთ კვლავ მრავალი ქვეყანა დაგეპყროთ თქვენი ნიჭითა და პროფესიონალიზმით.

მანანა მინდაძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

***.

მოგესალმებით და მოგილოცავთ ქართული თეატრის დღეს.. მადლობა თეატრის მესვეურებს, რომ ამ არაჩვეულებრივი წარმოდგენებით გვახარებთ და გვაბედნიერებთ. გისურვებთ კვლავ მრავალი საინტერესო სპექტაკლებით გაგეხარებინოთ მაყურებელი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

თამარ კეკელიძე,
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი.

ვასო ჩიგოგიძე: „საოცრად წარმატებული წელიწადი გვქონდა“



ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისთვის 2019 წელი ნაყოფიერი გამოდგა და შემოქმედებითი წარმატებებით იყო დატვირთული.

შარშანდელ სეზონზე გვესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი ვასო ჩიგოგიძე.

–ბატონო ვასო, ეოგორ შეაფასებთ თეატრისთვის შარშანდელ წელს?

– საინტერესო, შემოქმედებითი ძიებებით და მრავალფეროვანი რეპერტუარით მდიდარი გახლდათ გასული წელი. ოზურგეთის თეატრში წარმატებით განხორციელდა სპექტაკლები: ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“(რეჟისორი- მამუკა ბაბილოძე), გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (რეჟისორი -ოთარ კუტალაძე),ა. ვარსიმაშვილის სცენური ვერსია „ზამთარი იგი“ (რეჟისორი -კახა გოგიძე), ა. ლინდგრენის „პეპი გრძელი წინდა“ (რეჟისორი- რევაზ ბაინაზიშვილი), ა. პეტროვას „კოცნა“ (რეჟისორი-ნევანა მიტევა), ე. მაცხონაშვილის „ფიროსმანი“ და „წერილი ლიას“ თ.მელაშვილის მოთხრობის მიხედვით. თ. მელაშვილი ცნობილი ავტორი და საბას პრემიის მფლობელია. მისი ნაწარმოებები იბეჭდება ავსტრიასა და გერმანიაში. ორივე სპექტაკლი რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა განახორციელა. თავად ელენე კი 2018 წლის თეატრალური პრემიის „დურუჯის“ გამარჯვებულია, როგორც საუკეთესო რეჟისორი და საუკეთესო სპექტაკლის ავტორი.

თეატრმა მონაწილეობა მიიღო შვიდ საერთაშორისო ფესტივალში (ბულგარეთში - შუმენი, ვრაცა, სოფია; თურქეთში, სტამბოლში, უკრაინაში - ხერსონი და საქართველოში -ფოთი,ახალციხე). მეც გაოცებული ვარ, როგორც შევძელით ეს ყოველივე. ადრე მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო, რუსთაველის თეატრი თუ ახერხებდა, ჩვენ კი, რთული პირობების მიუხედავად (შენობის გარეშე დროებით), შევძელით საერთაშორისო ასპარეზზე ოზურგეთის თეატრის გაყვანა და წარმატების მოპოვებაც.

ქართულ-ბულგარული კოპროდუქციით „კოცნა“ ოზურგეთის თეატრი მონაწილეობდა ბულგარეთის ქალაქ შუმენში თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის ფესტივალში. „კოცნა“ სპეციალურად ამ ფესტივალისთვის შეიქმნა. სპექტაკლი ჩვენი თეატრისთვის უჩვეულო და თამამი გახლავთ. დრამატული კომედია მარტოობასა და თაობათა შორის გაუცხოებაზე მოგვითხრობს. სპექტაკლმა მაყურებლის აღფრთოვანება და მხურვალე ოვაცია დაიმსახურა. ფესტივალს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი 1993 წელს ჩაეყარა და უკვე 26-ე წელიწადია ყოველწლიურად იმართება. შუმენში ფესტივალი არ ითვალისწინებდა საზღვარგარეთის ქვეყნების თეატრების სპექტაკლების კონკურსში მონაწილეობას. ოზურგეთის თეატრს გადაეცა დიპლომი. შუმენიდან თეატრი გაემგზავრა ვრაცაში, სადაც „მცირე დრამატული ფორმების“ საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. სპექტაკლმა „კოცნა“ საერთაშორისო ფესტივალის ორი პრიზი მიიღო. მთავარი პრიზი - „თანამედროვე ბულგარული დრამატურგის საუკეთესო გადაწყვეტა“ და თამარ მდინარაძემ –„ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.“ სპექტაკლს ბულგარულ ენაზე დრამატურგი. მიტევა თარგმნიდა.

ევროპულ ტურნეში მესამე საფესტივალო ქალაქი იყო ხერსონი, უკრაინის პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში „ტავრიის მელპომენა“ მსახიობ თამარ მდინარაძეს გადაეცა პრიზი ნომინაციაში: „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.“ ასევე წარმატებული იყო ოზურგეთის თეატრისთვის ფოთის „რეგიონული თეატრების“საერთაშორისო ფესტივალი და მესხეთში -ახალციხეში, „ეროვნული დრამატურგის“ საერთაშორისო ფესტივალი.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ოზურგეთისა და შუმენის თეატრებს შორის, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალსა და შუმენის ახალი ბულგარული დრამატურგიის ფესტივალებს შორის. ხერსონსა და ოზურგეთის დრამატული თეატრებს შორის, ასევე „ტავრიის მელპომენეს“ საერთაშორისო თეატრალურ ფეტივალსა და ოზურგეთის ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალებს შორის. აზერბაიჯანის - განჯის სახელმწიფო თეატრთან, ლიეტუვას შაულაის სახელმწიფო თეატრთან, ჩოხატაურის და ამბროლაურის სახალხო თეატრებთან.

– ბატონო ვასო, ოზურგეთისა და გენიჩესკის რაიონების მეგობრობა 1938 წლიდან იწყება, ამ ურთიერთობის გაგრძელების ინიციატივა ამჯერად თქვენ გეკუთვნით...

– უდიდესი წარმატებით ჩაიარა ჩვენმა გასტროლმა გენიჩესკში. არაჩვეულებრივი იყო გენიჩესკელების დახვედრის რიტუალი ტრადიციული პურითა და მარილით, მისალმებებით, კონცერტით ქართველთა და უკრაინელთა მეგობრობის მემორიალთან, ქართველთა სათვისტომოს „საქართველოს გაუმარჯოს,“ ქართული დროშით, სპექტაკლის წინ მასპინძლების გამოსვლებით, ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრის დასაჩუქრებით და დიდი სითბოთი.

დიდხანს არ დააყოვნა გენიჩესკელებმა და ოზურგეთს ეწვივნენ. ადგილობრივ მედიასთან შეხვედრა გენიჩესკის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ანდრეი ევსტრატოვმა ასე დაიწყო: მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქართულ მხარეს ასეთი თბილი მიღებისთვის და დელეგაციის თითოეულ წევრს განსაკუთრებული ყურადღებისთვის... მან ასევე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ოზურგეთის თეატრს, რომლის მეშვეობითაც აღდგა მეგობრობის ხიდი.

ოზურგეთიდან დაბრუნებულმა გენიჩესკის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მთლიანად საქართველოში მათ ვიზიტს ეხებოდა.

– წლეულს ოზურგეთის თეატრში პირველად დაიდგა თოჯინური სპექტაკლები მოზარდებისთვის:„ფიროსმანი“ და „წერილი ლიას,“რომ-

ლებსაც დიდი გვ-2

ვასო ჩიგოგიძე: „საოცრად წარმატებული წელიწადი გვქონდა“

წარმატება ხვდა წილად.

– სპექტაკლი „ფიროსმანი,“ რომელიც გენიალური მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან, დრამატულ ეპიზოდებს ასახავს, რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა დადგა. ჩვენს მსახიობებს პირველად ჰქონდათ შეხება მარიონეტებთან, რასაც ძალიან კარგად გაართვეს თავი.სპექტაკლი ბულგარეთში ქალაქ სოფიაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარადგინეს.

– თეატრი საგასტოლო მოგზაურობით იმყოფებოდა აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში...

– განჯის თეატრთან ჩვენი მეგობრობა დაიწყო ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალიდან, სადაც მათ შესანიშნავი სპექტაკლი ჩამოიტანეს. მადლობელი ვარ ჩვენი მეგობრების, აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის აზერ-ფაშაოღლი ნეიმატოვისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი გეგეჭკორისა, რომელთა ინიციატივითა და თანდასწრებით ბაქოში გაფორმდა ჩვენი ორი თეატრის მეგობრობის მემორანდუმი.

ძალიან წარმატებული საგასტროლო მოგზაურობა შედგა ქალაქ განჯაში, სადაც წარმოვადგინეთ ა. ლინგრენის „პეპი გრძელი წინდა“ ბავშვებისათვის და ე. მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლები „ფიროსმანი,“ და „წერილი ლიას“.

გასტროლი განჯაში მრავალმხრივ იყო საინტერესო. პირველ რიგში, გავიცანით ეს ისტორიული, ულამაზესი ქალაქი ნახევარი მილიონი მოსახლეობით, რომელსაც მრავალი ღირსშესანიშნაობა აქვს. ამ ქალაქში მდებარეობს თურქეთისა და საქართველოს გენერალური საკონსულოები, რომელთა კონსულები და თანამშრომლები, ასევე ქალაქ განჯის ხელმძღვანელობა ესწრებოდნენ ჩვენს სპექტაკლებს და საუკეთესო დახვედრა და შეხვედრები მოგვიწყვეს. მადლობა განჯას სიყვარულისათვის, მასპინძლობისათვის. იმედია, ჩვენც მოვიწვევთ ჩვენს განახლებულ თეატრში, ნოდარ დუმბაძის ფესტივალზე.

მადლობა განჯის თეატრის ხელმძღვანელს ბატონ ალი კასუმოვს და ჩვენს მეგობარს, მსახიობსა და იმპრესარიოს იუსუფ ჯაფაროვს, რომელიც გვეხმარება ჩვენი საფესტივალო არეალის გაფართოებაში, როგორც ჩვენი სტუმრობის, ასევე სტუმრების მოწვევის თვალსაზრისით.

სპექტაკლს „პეპი გრძელიწინდა“, ჰქონდა ანოტაცია აზერბაიჯანულად, თანაც პეპი მსოფლიოს ბავშვთა საყვარელი გოგონაა, ხოლო სპექტაკლები „ფიროსმანი“ და „წერილი ლიას“ აზერბაიჯანულად იყო ნათაგმნი,რამაც მათ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.“

—საოცარი საახალწლო შოუ პროგრამა წარმოადგინეთ. ერნესტო თეოდორ ჰოფმანის მოთხრობის „მაკნატუნას“ მოტივებზე შექმნილმა სპექტაკლმა „შობის ჯადოსნური ღამე,“ რომლის სცენური ვარიანტი და დადგმა თქვენ და რეჟისორ ლალი თაბაგარს გეკუთვნით, ყველა ასაკის მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

– მართლაც, ლამაზი სანახაობა გამოვიდა. ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ სპექტაკლის თანადაფინანსებისთვის, მადლობა ოზურგეთის თეატრის მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ.

ასევე მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ შობა-კალანდა და 14 იანვარი - ქართული თეატრის დღე. დაე, 2020 წელი შემოქმედებითი წარმატებებით დახუნძლული ყოფილიყოს. მშვიდობა, სიკეთე, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს ჩვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

2020 წელი ჩვენთვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა, რადგან წელს ვუბრუნდებით ჩვენს ახდენილ ოცნებას, თეატრის რეაბილიტირებულ შენობას, სადაც შესაბამისად განახლებული რეპერტუარით გელოდებით თეატრის მოყვარულებს.

ესაუბრა
- ქეთევან კუკულავა

მარიკა ქვეითაია: „თეატრი ჩემი ცხოვრებაა“

ეს იყო 2006 წელი, როცა რეჟისორმა შოთა ბაბილოძემ მიმიწვია ოზურგეთის თეატრში სპექტაკლის „ბუტიაობა“ ქორეოგრაფიულ გაფორმებაზე. პირველმა წარმატებამ ძალიან დიდი სტიმული მომცა და დღემდე ჩემს მშობლიურ თეატრში ვმუშაობ. ძალიან ბევრ რეჟისორთან მიმუშავია, რამდენიმე მათგანს ჩამოვთვლი: ვასო ჩიგოგიძე, გიზო ჟორდანია, ოთარ კუტალაძე, ლევან ხვიჩია, ზურა სიხარულიძე, ლალი თაბაგარი, ვახტანგ ჩხარტიშვილი, ... ყველა მათგანთან მუშაობა ძალიან საინტერესო და განსხვავებული იყო.

ქორეოგრაფიულად გავაფორმე სპექტაკლები: „გამარჯობა ხალხო,“ „მეფე ლირი თავშესაფარში“ „კლინიკური ქორწინება,“ „ჭინჭრაქა,“ „აურზაური არაფრის გამო,“ „ბოშები“ „სათამაშო პისტოლეტი“,„შობის ჯადოსნური ღამე“.... პირველი დიდი გამოწვევა ჩემთვის იყო „გამარჯობა ხალხო,“ ძალიან ვღელავდი, რადგან მთელი თეატრალური დასი მონაწილეობდა სპექტაკლში. ვფიქრობ, თავი გავართვი და დიდი გამოცდილებაც შევიძინე. ასევე განსაკუთრებით დამამახსოვრდა შექსპირის „აურზაური არაფრის გამო,“ სადაც დიპლომი მივიღე- „წლის საუკეთესო ქორეოგრაფია.“ უდიდესი ბედნიერება იყო, როდესაც გავიგე, რომ გიზო ჟორდანიასთან უნდა მემუშავა. აქ იყო შერწყმული რეალობის, ფანტაზიის, ტკივილის, სიყვარულის სრული გამოხატულება ცეკვით. ამაყი ვარ, რომ ამ დიდ მაესტროსთან მომიწია ორი თვე მუშაობა და ეს სპექტაკლი მუდამ იქნება ჩემი თილისმა. არ შეიძლია არ აღვნიშნო სპექტაკლი: „სათამაშო პისტოლეტი,“ სადაც უნიჭიერესმა მსახიობმა მარი ხანთაძემ ისე ითამაშა როლი, როგორც ვისურვებდი მეთამაშე მე, ალბათ მსახიობი რომ ვყოფილიყავი. სპექტაკლი პლასტიკის თვალსაზრისით ძალიან დატვირთული იყო. საოცრად კმაყოფილი ვარ ამ სპექტაკლით, მასზე მუშაობა ძალიან შრომატევადი იყო,უზარმაზარი ენერგია ჩავდეთ და შედეგითაც კმაყოფილები ვართ.

თეატრი ჩემი ცხოვრებაა. დღეს უკვე, სხვა სფეროში ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია, პროფესიით ეკონომისტი ვარ. თუმცა 15 წელი სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი. მიყვარს ყველა და ყველაფერი, რაც თეატრთან მაკავშირებს. ყველა მსახიობთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, სპექტაკლებზე მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო, შრომატევადი და გიჟური.

ჩემი აზრით, ყველა ჩვენი სამუშაო დღე უნდა აიტვირთოს ფირზე და აჩვენო მსოფლიოს. მეამაყება, რომ ამ დიდი თეატრის ნაწილი ვარ. ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ ვასო ჩიგოგიძეს და თეატრის დირექტორს ბატონ ზაზა ჯინჭარაძეს, იმ დიდი ნდობისთვის , რაც მათ გამომიცხადეს,ასევე მადლობა ჩემს მეგობარ მსახიობებს და ჩვენი თეატრის ერთგულ მაყურებელს. ვეცდები ბოლომდე დავიხარჯო ჩემი უსაყვარლესი, მშობლიური ოზურგეთის თეატრისთვის.

„თეატრი ჩემთვის ენერგია და სიცოცხლის წყაროა“

ოზურგეთის თეატრთან არსებულ სტუდიაში ნიჭიერი ახალგაზრდები არიან გაერთიანებული. ერთ-ერთი მათგანია მარიამ სიხარულიძე, რომელსაც თეატრში ვეწვიეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

— მარიამ, როგორ მოხვედი სტუდიაში?

– ვიდრე ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ფეხს შევდგამდი, ვიცოდი, რომ სცენაზე უბრალოდ მყარად უნდა ვმდგარიყავი და ჩემი სათქმელი მაყურებლამდე მიმეტანა. როცა ამ საოცრად მომხიბვლელ სამყაროში შევედი, იმ დღიდან ჩემს ცხოვრებაში კიდევ მრავალი ფერადი ძაფები მყარად ჩაიკვანძა და სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო მოძრაობა. მე აქ თავიდან დავიბადე, ახლებურად შევისწავლე სამყარო, სრულვყავი საკუთარი თავი, შეხედულებები და ჩვეულებები. მართალია, ჯერ ასაკით პატარა ვარ და დიდი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ მე მაქვს ძალა და მოტივაცია, რომ შევძლო არსებობა და ბრძოლა წარმატებისთვის, ეს ძალა კი, ასე ვიტყოდი, თეატრმა მაჩუქა.

– როგორი იყო შენი პირველი ნაბიჯები თეატრში?

– 15 წლის მანძილზე არ ვიცოდი, რა იყო სცენის შიში, ძალიან მიკვირდა იმ ადამიანების, ვინც გამუდმებით კანკალებდა მაყურებელთან შეხვედრამდე, ასე ბავშვურად დავდექი სცენაზე. „კონკიაში“ პრინცესა სელენას როლი მხვდა წილად და როგორც პრინცესას ეკადრებოდა, ჩემს წარმოსახვაში წარმოვიდგინე და დავიწყე: „სინამდვილეში ბევრად უფრო მომხიბლელი ყოფილხართ, ხოლო თქვენი სამეფო ულამაზესი.“ დასის წევრებს ამაყად მოვავლე თვალი. თეატრის დირექტორმა, რომელიც სპექტაკლში მონაწილეობდა, ღიმილით მითხრა: „მომხიბლელი არა! მომხიბვლელი! თან დასძინა: გურული ყოფილა ჩვენი გოგო და არ ვიცოდი. იმ დღიდან ვიზრდები და ვვითარდები.

– რომელი მსახიობები გასწავლიან სტუდიაში?

– სტუდიაში გვასწავლიან ჩვენი შესანიშნავი მსახიობები: თამარ მდინარაძე, შორენა გვეტაძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, თავიანთი ცოდნა გადმოგვცენ და სცენის ოსტატობას გვაზიარონ. განსაკუთრებულად ბედნიერი ვარ, რომ მომიწია მასტერკლასების გავლა მეტყველების ისეთ პედაგოგთან, როგორიცაა თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი ზეიკო წულუკიძე. ასევე მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ ყოველი რეპეტიციის მსვლელობისას სტუდიელები უდიდეს ყურადღებას და სიყვარულს ვგრძნობთ თითოეული მსახიობისგან.

– არც ისე დიდი ხანია რაც სცენაზე გამოჩნდი და უკვე მაყურებლის აღიარება მოიპოვე.

– დიდი მადლობა. ერთი წელი და ოთხი თვეა, რაც თეატრში ვარ, ამ ხნის მანძილზე მონაწილეობა მივიღე სპექტაკლებში: „კონკია,“ „იქ, სადაც მუნჯები ლაპარაკობენ,“ „ჭინჭრაქა,“ „ზღაპარი იგი,“ „პეპი,“ „შობის ჯადოსნური ღამე.“ ყველა სპექტაკლმა უდიდესი სიხარული მომნიჭა. წილად მხვდა ბედნიერება არაჩვეულებრივ რეჟისორებთან მემუშავა. ყველა მათგანი, რა თქმა უნდა, განსხვავებული და ორიგინალურები არიან, რაც საშუალებას აძლევს მსახიობს კიდევ უფრო გაიზარდოს და დაოსტატდეს. მეც ეტაპობრივად საფეხურიდან საფეხურზე ვიწევდი და ზუსტად ვხვდებოდი, რომელი რეჟისორი ჩემში არსებულ რომელ ძაფზე იყო ჩაბღაუჭებული.

ძალიან მადლიერი ვარ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ ვასილ ჩიგოგიძისა და თეატრის დირექტორის ბატონ ზაზა ჯინჭარაძის, რომლებმაც მომცეს საშუალება დამენახა ჰორიზონტი, სადაც დგას ჩემი მეორე სახლი – თეატრი. მათ მომცეს საშუალება უნიჭიერესი მსახიობების გვერდით ვიდგე. ეს ჩემთვის უდიდესი ძალა, ენერგია და სიცოცხლის წყაროა.

– შენ საგასტროლო მოგზაურობით იმყოფებოდი აზერბაიჯანში, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?

– თეატრდან გასტოლზე უკვე მეორედ ვიყავი, თუმცა ეს გასტროლი სულ სხვანაირი იყო, რადგან საქართველოს საზღვრებს გავცდით და ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დავდგი ფეხი. არაჩვეულებრივად მიგვიღეს, დავბინავდით განჯის ყველაზე პრესტიჟულ და ულამაზეს სასტუმროში. დღის განრიგიც კარგად და სრულფასოვნად იყო დაგეგმილი - ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების თითქმის 80 % დავათვალიერეთ, შოპინგსაც ვასწრებდით, რეპეტიციებსაც. მე ვმონაწილეობდი სპექტაკლში: „პეპი გრძელი წინდა.“ მაყურებლის მხურვალე ოვაციები ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ძალიან თბილი ხალხია აზერბაიჯანელები, მათი სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებული ვარ. საოცარი დღეები გვქონდა.

– სხვადასხვა თაობის მსახიობების გვერდით გიწევს მუშაობა, ეს სიძნელეებს არ გიქმნის?

– პირიქით, საოცრად კომფორტულად ვგრძნობ თავს მათ გვერდით. რა უნდა მოხდეს, რომ დავივიწყო მათი დამოკიდებულება, პატარა, სტუდიელი გოგონასადმი, რომელიც შემიყვარეს და მუდმივად ცდილობენ მაგრძნობინონ, რომ მეც შემიძლია, მეც გამომივა და მე-მე ვარ უკვე... ისინი კეთილები, სიყვარულის და სიხარულის მატარებლები არიან და ვერავინ და ვერაფერი ვერ დაშლის ამ ურთიერთობას.

ასევე თავს უფლებას მივცემ და ჩემი სტუდიელი მეგობრების სახელითაც მოვახსენებთ, რომ ჩვენ ვდგავართ გზაზე, რომელსაც მივყავართ ყველაზე ლამაზ და ფერად სამყაროში, ამ სამყაროს კი თეატრის სამყარო ჰქვია.

მალთეფეს თეატრისა და საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელმძღვანელი ოზურგეთში

ოზურგეთში უკვე მესამე წელიწადია, მეგობრობს სტამბოლში მალთეფეს თეატრისა და საერთაშორისო თეატ-რალური ფესტივალის ხელმძღვანელი – კუბილაი ერდენიქარა, რომელიც ბატონ ვასო ჩიგოგიძის მოწვევით ოზურგეთს ესტუმრა. იგი საშობაო სპექტაკლს დაესწრო და აღნიშნა: ოზურგეთის თეატრის ჩვენი საერთაშორისო ფესტივალის პარტნიორია, დღეს ვნახეთ შესანიშნავი სპექტაკლი, ყველაფერი ხარისხიანად, მოწესრიგებულად არის გაკეთებული, ეს პექტაკლი გამოირჩევა მობილიზებული გუნდით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მაყურებელს ძალიან კმაყოფილს ტოვებს. ბატონი ვასოს ხელმძღვანელობით ოზურგეთის თეატრი ბრწყინვალე და დიდებულია.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამომავლო პერსპექტივები ისახება, როგორც ოზურგეთისა და მალთეფეს თეატრებს შორის, ასევე, ევრაზიის თეატრთა კავშირისათვის, რომლის დაარსების ინიციატორები ბატონები ვასო ჩიგოგიძე და კუბილაი ერდენიქარა გახლავთ.

ნათია გურგენიძე: „ბავშვობაში მსახიობობაზე ვოცნებობდი და ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამიხდა“

ჩემი ბავშვობის პერიოდი 90-იანი წლების ომს დაემთხვა.ამ დროს, მოგეხსენებათ, საოცარი შიმშილობა, უშუქობა და, შეიძლება ითქვას გაუსაძლისი მდგომარეობა იყო საქართველოში. ამიტომ თეატრის ფუფუნება არ გვქონდა ახალგაზრდების უმეტესობას. სპექტაკლებს ძირითადად, თან ისიც იშვიათად, ტელევიზიით ვნახულობდით. რამდენჯერმე მომიწია მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში სტუმრობა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რამაზ იოსელიანის მიერ შესრულებულმა ტატოს როლმა სპექტაკლში - „ნიკოლოზ ბარათაშვილი.“

ძალიან მიხაროდა ზაფხულის არდადეგების დადგომა. ამ დროს ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდი თბილისიდან სოფელში, სადაც ძველი „პრაგრივაწელი “ მქონდა. ჩავრთავდი ხოლმე და მთელიდღე ვუსმენდი „ძველ ვოდევილებს.“ თითქმის ყველა პერსონაჟის სიტყვები ზეპირად ვიცოდი. განსაკუთრებით მიყვარდა ელენე ყოფშიძისა და ვასო გოძიაშვილის დიალოგი. ჩემს ბებიას და პაპას საღამოობით ამ არაჩვეულებრივი მსახიობების მონოლოგებს ვუყვებოდი. მათთვის ერთ სიამოვნებად ღირდა, ჩემი სონასავით დაწვრილებული ხმით წარმოთქმული სიტყვები,რაზეც ბევრს იცინოდნენ. ასევე, მეზობლის ბავშვებთან ერთად, პატარა წარმოდგენებს ვმართავდით და ძალიან ვხალისობდით.

მართალია,ბავშვობაში მსახიობობაზე ოცნებობდი, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდგ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავბარე. ძალიან გავიხარე, როცა შევიტყვე, რომ, უნივერსიტეტში თეატრალური სტუდია „მოდი-ნახე“ ფუნქციონირებდა. მე პირველი კურსიდანვე ამ სტუდიის წევრი გავხდი. პირველი სტუდენტური სპექტაკლი იყო ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი,“ სადაც ეკას როლი შევასრულე და მაყურებლის დიდი მოწონებაც დავიმსახურე. (რეჟისორი ნუგზარ ბუცხრიკიძე). სისტემატურად ვმონაწილეობდი სტუდენტურ ღონისძიებებში. სცენაზე უბედნერესად ვგრძნობდი თავს.

შემდეგ ოჯახი შევქმენი და ჩოხატაურში გადმოვედი საცხოვრებლად. აქ სახალხო თეატრის რეჟისორის გოგი ცინცაძის დამსახურებაა ჩემი „აღმოჩენა.“ სწორედ მან მიმიწვია თეატრში, სადაც შევასრულე ლილის როლი - ირაკლი სამსონაძის პიესაში „კლინიკური ქორწინება.“ ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო ამ დასის წევრებთან ერთად მუშაობა. ბატონი გოგი ყოველ დეტალს, ყოველ ნიუანსს დიდი რუდუნებით მიხსნიდა, ძალიან დამეხმარა, ჩემი შესაძლებლობების გამოვლენაში. ასევე მადლიერი ვარ სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობის, რომლებმაც შესანიშნავი პარტნიორობა გამიწიეს.

ბატონი გოგი ცინცაძე სამომავლოდ საინტერესო პროექტებს გეგმავს, რომლის განხორციელებაში მეც აქტიურად ვიქნები ჩართული. მაქსიმალურად ვეცდები, ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი როლები განვასახიერო. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ვარ ისეთი დიდი ტრადიციის მქონე თეატრის დასის წევრი, როგორიცაა ჩოხატაურის სახალხო თეატრი.

მიხეილ წიგნაძის გახსენება



35 წელი გავიდა, რაც ოზურგეთის ქუჩებში არ დადის ერთი კოლორიტი კაცი, ცნობილი მსახიობი მიხეილ წიგნაძე. ვინც მას იცნობდა და მასთან მეგობრობდა, ახსოვს მისი იუმორი. დღისით დინჯი და აუჩქარებელი, როგორ გარდაისახებოდა საღამოს თეატრის სცენაზე, როგორ სიხარულს და ემოციას ჰგვრიდა მაყურებელს მისი განსახიერებული გმირები.

ქ. ოზურგეთში, ზვანის უბანში დაამთავრა 8კლასი, შემდეგ ბათუმის სამშენებლო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. ცხოვრება ერთფეროვნად წავიდოდა ალბათ, რომ არა 1932 წელს რუსთაველის თეატრის კოლექტივის გასტროლები ბათუმში. სანდრო ახმეტელის თეატრმა საუკეთესო დადგმები ჩაიტანეს აჭარის დედაქალაქში. მიხეილმა მაშინ დაინახა თავისი მოწოდება. მალე ეს ოცნება სინამდვილეს მიუახლოვდა და მიხეილიც მოხვდა იმ ბედნიერთა რიცხვში, რომლებიც 4 წლის განმავლობაში სანდრო ახმეტელის მოწაფეები უნდა ყოფილიყვნენ, რუსთაველის თეატრის კედლებში.

–მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ახმეტელი თავისუფალი აზროვნებისთვის იდევნებოდა, რაც გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ დადგმას უკავშირდებოდა, იგი თავის გზას განაგრძობდა და კიდევ უფრო ღრმავდებოდა დაძაბულობა ახმეტელსა და ლავრენტი ბერიას შორის, მაგრამ ჩვენ, ბათუმიდან გამოგზავნილი სტუდიელები ამას ნაკლებად გვრძნობდით მაშინ, რადგან ვხედავდით, როგორ უყვარდა ხალხს სახელოვანი რეჟისორი.

მისი გულისხმიერების ერთ ეპიზოდს მოგიყვები.

საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს. უყოყმანოდ გამოვცხადდი კომისარიატში. მეორე დღეს, რუსთაველის თეატრის სარდაფში, კაფე „ორიენტში“ მოთავსებული მოსამზადებელი პუნქტის წინ შაშხანით დამაყენეს დარაჯად.

საღამო ხანი იყო, ვხედავ ნაცნობი სახე მათვალიერებს. ბატონი სანდრო ახმეტელი ვიცანი. გაუკვირდა ჩემი ფორმა.

– ჯარში გამიწვიეს და სამხედრო დავალებას ვასრულებ მეთქი –ვუთხარი.

– ხვალ, ჩემთან ბინაზე შემოიარეო –მითხრა.

სანდრო ახმეტელი თეატრის შენობაში ცხოვრობდა მესამე სართულზე. მივაკითხე. კარი მისმა მეუღლემ თამარ წულუკიძემ გამიღო. ვთხოვე ეცნობებინა ბატონი სანდროსათვის ჩემი მისვლის შესახებ....

მეორე დღეს კვლავ რუსთაველის თეატრში ვიყავი და მისი მონდომებით ყველა სტუდენტზე დაუშვეს ჯავშანი.–მიყვებოდა მიხეილ წიგნაძე.

სტუდიაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში: „ანზორი,“ „შემოდგომის აზნაურები,“„არსენა,“ „ყაჩაღები“ და სხვა.

სადიპლომო სპექტაკლად კ.გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ წარმოადგინეს, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის პირველი დადგმა იყო ქართულ სცენაზე.

მიხეილ წიგნაძე მზარეულის როლს ასრულებდა ამ სპექტაკლში.

როგორც მიხეილ წიგნაძე ჰყვებოდა, 1937 წლის გაზაფხულზე ბათუმის სახელმწიფო თეატრი გაიხსნა. რუსთაველის თეატრის სტუდიელები ბათუმში პირველ სპექტაკლი გამართეს.ეს სტუდიელები იყვნენ შემდეგში აღიარებული მსახიობები: ნუნუ თეთრაძე, ლილი აფხაზავა, ნინო ფხაკაძე, იუსუფ კობალაძე, მურად ხინიკაძე, ზორბეგ ღლონტი, სულეიმან თურმანიძე, მიხეილ წიგნაძე და სხვები.

მიხეილმა ბათუმის სახელმწიფო თეატრში რამდენიმე წამყვანი როლი შეასრულა.ს შანშიაშვილის „არსენაში“ – ზაალ ბარათაშვილის; პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“ – ლომკაცას; შ. დადიანის „გუშინდელში“ – მამასახლისის; გოგოლის „რევიზორში“ –სვისტენოვის...

ამ პერიოდში დაქორწინდა შესანიშნავ ქალბატონზე –მარგო თენიეშვილზე. შეეძინათ ქალიშვილი –მარიკა.

შემდეგ დაიწყო ომი და მიხეილი ჯარში გაიწვიეს. 1946 წელს ოზურგეთში დაბრუნდა და სიკვდილამდე 4 ათეული წლის განმავლობაში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ათეულობით როლი შეასრულა.

მისი ახოვანება, ხმის სიძლიერე, გარდასახვის საოცარი უნარი მაყურებლებში განსაკუთრებულ სიმპათიას იწვევდა.

მისი როლებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია: მეფის როლი სპექტაკლიდან „ჟამთაბერის ასული“ (1946 წ.); თომასა და დევის როლი– ნახუცრისა და გამრეკელის „ნაცარქექია“; კაკუტა, ლომკაცა და ვატა – პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“და „კოლმეურნეს ქორწინება“; ფილიბერტი და მათეოსი –კ. გოლდონის „სასეირო შემთხვევა“ და ნ. პერიალისის „ბაბთიანი გოგონა“; ციმბირელი –ა. ცაგარელის „ციმბირელი“; ბარნაბი – გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალა“; ათაბაგი –გ. ქელბაქიანის „თქმულება დიად მეგობრობაზე“; კორნელი კვაჭანტირაძე – ვ. კანდელაკის „სარეველა“; დავით დროიძე –„ნინოშვილის გურია“; ომარ მარღანია – გრ. ლაღიძის „მაცხვიტია“; კალაჩი –ლაიოშ მეშტერხაზის „მეთერთმეტე მცნება“; ექსტრანტი – იბსენის „მოჩვენება“; გოტჰოლდი“ – შტეფან ცვაიგის „სახლი ზღვის პირას“;

1967 წელს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ალბათ ამიტომაც უყვარდა განსაკუთრებულად მაყურებელს მისი გმირები. დიდ სითბოს დიდი გულით ატარებდა და ამიტომაც რამდენჯერმე შეახსენა გულმა თავი. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ იგი დიდ კინოში მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდურ როლშია გადაღებული. რამდენჯერმე საწოლს იყო მიჯაჭვული, მაგრამ ყოველთვის სცენას უბრუნებოდა. მისი ყველაზე დიდი მკურნალი, ექიმის ცოდნის მქონე მეუღლე მარგო თენიეშვილი იყო.

ძალიან უყვარდა ნადირობა. ოზურგეთის თეატრის ცნობილი მსახიობების სამონადირეო „ტრიოს“ (რომან ლომინაძე, ვლადიმერ ბაჯელიძე, მიხეილ წიგნაძე), სამონადირეო თავგადასავლები საყოველთაოდ იყო ცნობილი ყოველთვის კარგი მონადირე ძაღლი ჰყავდა. ბოლოს ინგლისური სეტერი ჰყავდა „ინდა.“ რამდენჯერმე ერთადაც ვიყავით სანადიროდ. ერთხელ შევეკითხე: –ბატონო მიშა, მე გამოუცდელი მონადირე ვარ, თქვენ კი .ცნობილი მონადირე ხართ..

წინადადების დამთავრება არ მაცალა,გადაიხარხარა და მითხრა: – უმცროსი მეგობარი ხარ და ჩემი გულის ამბავი რომ ვიცი, რაიმე რომ მომივიდეს ამ ტყეში, არ დამტოვებ, გზამდე როგორმე გამათრევო..

1985 წლის ზაფხულში, 70 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა გული შეტევით. მისმა ერთგულმა „ინდამ“ პატრონის გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში საჭმელს პირი არ დააკარა. ჭიშკრისკენ იყურებოდა მხოლოდ და პატრონს ელოდა. მეორმოცე დღეს წიგნაძეების სახლს ქვემოთ, მდინარე აჭისწყლის ჭალაში ჩავიდა და სული განუტევა.

ახლა ის სახლი, სადაც მიხეილ წიგნაძე და მისი ოჯახი ცხოვრობდა, დაკეტილია და თანდათან ეძალება ხავსი. მის ეზოსთან ჩავლისას თითქოს მესმის: –მარგო, გივი ახმეტელი და ომარ ურუშაძე უნდა მოვიდეს ჩემს „სანახავად“, სადილი გაამზადე.

ნუგზარ ასათიანი

ვარლამ (ვალოდია) წულაძე

ქართული კინოსა და თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბრწინვალე მსახიობი და ლანჩხუთის თეატრის რეჟისორი ვარლამ(ვალოდია)წულაძე დაიბადა 1908 წლის 18 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში. დედა ელპიტე სიხარულიძე მდიდარი და განათლებული ოჯახის შვილი იყო. ის ხშირად ესაუბრებოდა შვილებს თეატრის შესახებ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მისმა ორმა ვაჟმა, ვალოდიამ და ივანემ მომავალი ცხოვრება თეატრს დაუკავშირეს. ვალოდია სწავლობდა ლანჩხუთის პირველ საშუალო სკოლაში. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის მე-15-ე სკოლაში. ძმა ივანე, რუსთაველის თეატრის მსახიობი გახლდათ. ვალოდია ამ თეატრის ხშირი სტუმარ იყო და მრავალჯერ მოხიბლულა ქართული სცენის კორიფეების ხილვით.

1926 წლიდან - 1934 წლამდე ვალოდია წულაძე მონაწილეობდა ლანჩხუთის დრამწრეში, რომელიც დროდადრო მართავდა წარმოდგენებს.

1930 წელს ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის რაიკომთან არსებულ ახალგაზრდა თეატრალურ დასს. 1933-1935 წლებში სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის თეატრში- რიგით მსახიობად.

1937 წლის 28 თებერვალს, ლანჩხუთის ეგ.ნინოშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში-თეატრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ივ.აბაშიძის რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლი.დადიანის „ნინოშვილის გურია“, რომელშიც ვალოდია წულაძემ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი - „სიმონა“ განასახიერა. ვ.წულაძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა ზუგდიდისა და აბაშის თეატრების რეჟისორად და დირექტორად.

1938-1946 წლამდე მუშაობდა ლანჩხუთის თეატრის რეჟისორად და განახორციელა დადგმები: „შხამიანი გველები,“ „ხატიჯე“; ისაკოვის „იავნანა“...

1960 წლიდან 1968 წლამდე, ვალოდია წულაძე ლანჩხუთის ეგ. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. ამ პერიოდს უკაშირდება მისი რეჟისორული მოღვაწეობის განსაკუთრებული მიღწევები. კერძოდ, 1960 წლის 30 ოქტომბერს მხატვრული თვითმოქმედების მე-9 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე - მეიო და ენიკენის სპექტაკლი „ბიჭუნა“გამარჯვებული გახდა ყველა ნომინაციაში . სწორედ, ამ სპექტაკლის წარმატებამ განაპირობა ის, რომ ვალოდია წულაძეს 1961 წლის 20 ივნისს კულტურის დარგში ხაგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა - ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1967 წელს, ლანჩხუთის ეგ.ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი (რეჟისორი ვ.წულაძე) – თეარალურ ფესტივალში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა მე-3 ხარისხის დიპლომით.

რეჟისორმა ვალოდია წულაძემ ლანჩხუთის თეატრის სცენაზე განახორციელა 100-ზე მეტი დადგმა, სადაც მთავარ როლებს თვითონ განასახიერებდა ბრწყინვალედ. მან საინტერესო სახეები შექმნა შემდეგ სპექტაკლებში: სიმონა – „ნინოშვილი გურია“, თორღვაი –„ლამარა“, პილატე– „ნაბიჭვარი,“ დარისპანი– „დარისპანის გასაჭირი“, მანუჩარი –„კოლმეურნეს ქორწინება“, გოჩა –„ხევისბერ გოჩა“, გაიოზ ფაღავა – და-ძმა“, პეტუა –„ციმბირელი,“ პლატონ კრეჩეტი –„პლატონ კრეჩეტი,“ ნიკოფორე – „გუშინდელნი“...

ვალოდია წულაძე ერთნაირი ძალით თამაშობდა ტრაგიკულ და კომიკურ როლებს. განსაკუთრებით განსაცვიფრებელი იყო მისი ხევისბერი, „ხევისბერ გოჩა”. პრემიერას დაესწრო საქართველოს სასიქადულო მსახიობი აკაკი ხორავა, რომელიც თავად იყო ბრწყინვალე ხევისბერი. იგი იმდენად მოიხიბლა ვ.წულაძის მიერ შესრულებული როლით, რომ ფარდის დახურვას აღარ აცალა, პირველი აიჭრა სცენაზე და მიულოცა მსახიობს წარმატება.

ვალოდია წულაძეს ბედმა არგუნა თანამეცხედრედ ჰყოლოდა ნატიფი გემოვნებისა და მრავალმხრივი დიაპაზონის მქონე მსახიობი – თამარ კირთაძე. მათ მიერ შექმნილი სცენური სახეები ხელოვნების სფეროში ხასიათდება მკაფიო ინდივიდუალიზმით, თვითმყობადობითა და გარდასახვის საოცარი ოსტატობით.

მადლიერმა საზოგადოებამ 1961 წლის 16 დეკემბერს ლანჩხუთის სახალხო თეატრის ორ ლეგენდარულ ვარსკვლავს - ვალოდია წულაძესა და თამარ კირთაძეს სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადა. ვალოდია წულაძე გადაღებულია ფილმებში: „პალიასტომი“ (ბესარიონი)-(1963), „მიქელა“ (ალექსი)-(1965), „მაცი ხვიტია“ (ხვიჩა)-(1966), „წუთისოფელი“ (აგაპო)-(1971), „ეპისკოპოსი ნადირობაზე“(დეკანოზი)-(1971), „ჩარი-რამა“ (იპოლიტე)-(1972), „მთვარის მოტაცება“ (ლუკაია ლაბახუა)-(1973), „გაქცევა გათენებისას“-(1975), „დათა თუთაშხია“ (იასე მღვდელი)-(1978), „მე-19 საუკუნის ქართული ქრონიკა“ (იოთამი), (1978), „წინაპართა მიწა“-(1979), „მიზანი“ (მარკოზი)-(1979), „კარიერი“(1979), „ძახილი“ (ბაბუა ქიშვარდი) (1979), „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (რაიკომის მდივანი) - (1980), „ძველი სახლი“- (1981), „მოხუცი მემანქანე“- (1981), „ყოჩაღად პაპებო!“-(1981), „გზა შინისაკენ“ (1981), „სამი ალიყური“ (1982), „მარადისობის კანონი“ (1982), „გმადლობთ რატილი“- (1983).

მსახიობი და რეჟისორი ვალოდია წულაძე, ამავე დროს საოცრად საინტერესო პოეტი გახლდათ. მის შემოქმედებას ამშვენებს სხვადასხვა თემაზე შექმნილი ბრწყინვალე ლექსები: „თეატრი,“ „ლამაზ ქალს,“ „მეგობრის ხსოვნას,“ „ბურთმა ჩაყლაპა გლობუსი,“ „ლანჩხუთს“ და ა.შ.

ვალოდია წულაძე გახლდათ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება. ის იყო შესანიშნავი დეკლამატორი, ცნობილი ბაზიერი, (რომელსაც არაერთი საპატიო სიგელი ჰქონდა მიღებული) მსახიობი, რეჟისორი, პოეტი-ლანჩხუთის კოლორიტული ფიგურა, რომელიც, ძალიან უყვარდა არა მარტო მაყურებელს,არამედ მთელ საზოგადოებას.

ვალოდია წულაძის სახელი აქვს მინიჭებული ლანჩხუთის თეატრისა და კინოს მუზეუმს, სადაც სისტემატურად ტარდება შემოქმედებითი საღამოები. მუზეუმს ხშირად სტუმრობს ლანჩხუთის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ვალოდია წულაძეს ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი.

მაია ჩხაიძე,
ვალოდია წულაძის სახ.თეატრისა
და კინოს მუზეუმის გამგე.

„შობის ჯადოსნური ღამე“



ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა წარმატებით წარმოადგინა მუსიკალური შოუ სპექტაკლი „შობის ჯადოსნური ღამე,“ რომელიც ერნესტო ჰოფმანის ზღაპრის „მაკნატუნას“ მოტივებზე შეიქმნა. დამდგმელ რეჟისორი – ვასო ჩიგოგიძე, რეჟისორი – ლალი თაბაგარი, მხატვარი – ლომგულ მურუსიძე, ქორეოგრაფი – მარიკა ქვეითაია, მუსიკალური გამფორმებელი – გოგა მახარაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ: მთელი დასი, თეატრთან არსებული სტუდიელები, საბავშვო თეატრალური სტუდია „სცენის მტვერი“.

მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა სპექტაკლში შეხვედროდა თავის საყვარელ ბევრ ზღაპრის გმირებს, მათ შორის გურულ პერსონაჟებსაც, ემოგზაურათ იაპონიაში და აფრიკაში... მაყურებელს რამდენიმე დღის მანძილზე ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ სპექტაკლი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში. ბავშვები, პედაგოგები, მშობლები მადლობის სიტყვებს არ იშურებდნენ ამ საოცარი წარმოდგენის მიმართ, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. როგორც თავად აღნიშნეს, ეს ლამაზი სანახაობა, თავისი ფერადოვანი კოსტიუმებით, შთამბეჭდავი მუსიკალური ნომრებითა და მსახიობთა გარდასახვით სამუდამოდ დარჩება მათ მეხსიერებაში.

საშობაო ალილო

საშობაო ალილოში ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმაც მიიღო მონაწილეობა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასო ჩიგოგიძემ და თეატრის დირექტორმა ზაზა ჯინჭარაძე მეალილოებს ტკბილეული გადასცეს.



მოამზადა ქეთევან კუკულავამ

ამირან მამულაშვილი



როგორ უცბად გაირბინა 40-მა დღემ. ამ ხნის მანძილზე სანთელ-საკმეველი, კანდელი გინათებდა გზას, რათა სამუდამო სასუფეველში დაგემკვიდრებინა კეთილი სული.

საახალწლოდ წახვედი და დატოვე ოჯახი, რომელიც ძალიან გიყვარდა, ბოლო ხანებში ხშირად ამბობდი, უცბად მომკალი, ნუ მაწვალებო და ღმერთმაც გისმინა, მოულოდნელად წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენთვის კი ნამდვილად ძნელია, ვერ ვეგუებით უშენობას.

ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან, დატოვე ოჯახი, რომელიც ყოველთვის განაგრძობს შენს კეთილ საქმეებს და სახელს. იძინე მშვიდად თქვენი მშობლების, მეუღლის, შვილის, რძლის, სიძის, დისშვილების გვერდით, რომლებმაც სიცოცხლეში ძალიან დიდი მწუხარება და ტკივილი მოგაყენათ მათი უდროოდ გარდაცვა-ლებით, დღეს კი ერთად განისვენებთ.

იძინეთ მშვიდად და უფალს ვთხოვთ, ნათელი და სანთელი არ მოაკლოს თქვენს ლამაზ სულებს, სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ ზეციურ სამოთხეში.

ოჯახი

მშვიდობით, მიხაილოვიჩ!



მშვიდობით, მიხაილოვიჩ!

გუშინ ანასეულმა, ოზურგეთელმა საზოგადოებამ, ჭირისუფლებმა და ნათესავ-მეგობრებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს ეკონომიკის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **დავით ლეჟავა.**

,,ჩვენი დავით მიხაილოვიჩი! – სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ასე ეძახდა ამ დიდებულ პიროვნებას ანასეულის შუა უბანი.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს ცათა სასუფეველში.

მეზობლები.

გაზეთ „ალიონის“ მეგობარი და ჭირისუფალი

ამირან მამულაიშვილის ხსოვნას



ამართლებდა თავისი გვარის ფუძეს ეს კაცი, კარგი პიროვნება და კარგი მამულიშვილი იყო. ოჯახზე, სოფელსა და ქვეყანაზე გადაგებული, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი, მართალი და კეთილი, პრინციპული და გამგები, თბილი და მოსიყვარულე, შეუდარებელი მეგობარი, ოჯახი და ოჯახიშვილებიც ასეთი დატოვა. თავისი დარბაისლური ცხოვრებით წარუშლელი კვალიც დაამჩნია წუთისოფელს.

ბატონ ამირან მამულაიშვილზე ბევრი დაწერილა და თქმულა როგორც ჩვენს, ისე სხვა გაზეთსა და საზოგადოებაში, მაგრამ ,,ალიონისთვის'' ის მაინც განსაკუთრებული პერსონა გახლდათ. ახალგაზრდობიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ჩვენთან. თანამშრომლობასაც გაჩნია, მის მიერ მომზადებული საგაზეთო მასალები ყოველთვის გამირჩეოდა აქტუალობით, თემატიკის მრავალფეროვნებით. ბატონი ამირანის ნაწერს არ სჭირდებოდა რედაქტირება, კარგი მოქართულე და კარგი მოკალმე იყო.

ბოლო წლებშიც კი, როცა ცხოვრებამ უმძიმეს ქარტეხილებში გაატარა და ჯანმრთელობა შეურყია, ამ ბრგე კაცს არ შეუწყვეტია ჩვენთან ურთიერთობა. სხვანაირად როგორ იქნებოდა, ბატონი ამირანი ხომ ,,ალიონის'' ნამდვილი მეგობარი და ჭირისუფალი იყო!

კი, ორმოცი დღე გამოხდა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ მხოლოდ ამ დღის აღსანიშნავად არ ვთხზავთ ამ წერილს. ბატონი ამირანის ღვაწლს ჩვენ არაერთხელ მოვუბრუნდებით და ყოველთვის პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

„ალიონელები“.

გურამ კილაძე



12 იანვარს 56 წლის გახდებოდი, მშობლიური ქვეყნიდან შორს, საფრანგეთის მიწაზე მოგიახლოვდა სიკვდილი და მოულოდნელად აღესრულე, ჯერ ხომ ერთი წელიც არ გასულა, რაც უნუგეშოდ დაგვტოვე და ბევრი ცრემლი და ტკივილი დაგვიტოვე. ვინ იცის, როგორ გიჭირდა უჩვენოდ, რა მწარე იყო დასასრული, უშენოდ დღეები უმზეოდ გვეჩვენება, გურამ, მაგრამ შენი სვე-ბედი თავად აირჩიე, დანარჩენი უფლის ნება იყო. უფალმა მიგიტევოს ყველა ცოდვა, და შენი სული მოიხსენიოს სასუფეველსა თვისსა. ამინ!

მეუღლე ნინო, შვილი ალიკა, და-ძმა ლია და დავით კილაძეები.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

შობა-კალანდის რიტუალები გურიაში

მამაკაცი შესთხოვდა დამდეგი ახალი წელი მისთვის და მისი ოჯახისათვის ყოფილიყო ბედნიერი, ყველასათვის მოეტანა ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ყველა საქმეში წარმატება და სიმდიდრე. სახლში შესვლისას იტყოდა: ,,გადმოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, გფარავდეთ წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით აღვსილი.

თხილის ღეროს ნახევრად ახდილ ბურბუშელებს, წმინდა ბასილის ფაფუკ წვერებს ადარებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ სწრაფვას წმინდა ბასილისებური სიკეთის, სიუხვის, ღვთისმოსაობისაკენ.

წმინდა ბასილის ლოცვა

ოჯახის უფროსი ჩიჩილაკით ხელდამშვენებული მიადგებოდა სახლის კარს და გარედან შესძახებდა: ,,კარი გამიღე'', სახლიდან პასუხი: რა მოგაქვს?- მამაკაცი მეკვლე-,,მობრძანდება წმინდა ბასილი, მას მოაქვს ღვთისა და ბატონის მოწყალება, კაცთა მშვიდობა, ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, პური და ღვინო, ბედაური ცხენი ლახტით შემკული, ყირიმის თოფი, ინგლისის ფიშტო, მოჭედილი სატევარი და ყაჭ-აბრეშუმი. ამის შემდეგ კვლავ სამჯერ მეორდება შეკითხვა. სამივეჯერ ხვავსა და ბარაქას ,ბედღის ავსებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებდნენ ოჯახს. და მერე შიგნიდან კარებს გაუღებდნენ მეკვლეს და მორთულ ჩიჩილაკთან სახლში შეიპატიჟებდნენ. ოჯახის ყველა წევრს ხელში ანთებული თაფლის სანთელი ეჭირა. ღმერთმა ახალი წელიწადი გაგვითენოს, - ულოცავდნენ ერთმანეთს, სამგზის ჩამოატარებდნენ ჩიჩილაკს და ერთ კუთხეს მიუჩენდნენ, ტრადიციით ჩიჩილაკის აღება ნათლისღების დღეს ხდებოდა, შემდეგ გარეთ გაიტანდნენ და ხეზე ჩამოკიდებდნენ.

გასალოცი გობი

ჩიჩილაკის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გასალოცი გობს ანუ ხონჩას, რომელზედაც დალაგებული უნდა ყოფილიყო ე.წ. დედო პური, ანუ ახალი წლისათვის სპეციალურად გამომცხვარი ყველიანი ხაჭაპური, დედო პურში ყველთან ერთად ჩადებდნენ ვერცხლის სუფთა მანეთიანს ან ათ შაურს, რის შემდეგ ყველს გაიყვანდენ (გასწორებდნენ ცომში). დედო პურს გაჭრიდნენ ახალწლის სადილზე იმდენ თანასწორ ნაწილად, რამდენი სულიც იყო ოჯახში და ვერცხლის ფული ვის ნაჭერშიც აღმოჩნდებოდა, ის ითვლებოდა იღბლიანად. გარდა დედო პურისა, ხონჩაზე უნდა დადგოთ მოხარშული ღორის თავი, ტკბილეული, პატარა თიხის ქოთნით გაცეხვილი ღომი, რომელშიც ჩაფლული იყო მოუხარშავი კვერცხი. გობის კიდეებზე შემომწკრივებდნენ ოჯახში ჩამოწნილ (დამზადებულ) თაფლის სანთელს. თაფლის სანთელს ამგრებდნენ ღომიანი ქოთნის კიდეზეც. ხონჩის გვერდზე დადგამდნენ ღვინოს პატარა დოქით, რომელსაც თავი გატეხილი ჰქონდა სიმინდის ნაქურჩნით, დოქსაც მიმაგრებული ჰქონდა თაფლის სანთელი.

გალოცვა ანუ ფეცხვა

მთავარი ახალ წლის - კალანდის შეხვედრის რიტუალი იყო. მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგებოდა. ამ დროს სრულდებოდა ლოცვა, რომელსაც გურიაში ,,დილის ცეცხლის გალოცვა ეწოდებოდა''. აღნიშნული ლოცვა ჩაწერილი აქვს მუზეუმის ყოფილ თანამშრომელს, აწ განსვენებულ მაკარ თავდუმაძეს: ,,კალანდა დილით, გალოცვის დაწყების წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი გადიოდა გარეთ, თან მიჰქონდა საფერხავი გობი, რომელზეც იდო დედო პური, ყველიანი ხაჭაპური, ღორის თავი და საკვიქიოზურგიელი, პატარა თიხის ქოთნით ღომის მარცვალი, ზედ მიკრული სანთლით, ჩიჩალაკი და ღვინის ჭურჭელი ,იგი მარანზე გავიდოდა, ,ა ხდიდა ჭურს და დაილოცაებოდა - მრავალ ახალ წელს დაესწარი პატრონიანა და იღებდა ღვინოს. პირველად გაავსებდა დოქს და დადგამდა საფერხავ გობთან, შემდეგ ამოიღებდა ახალ წელს დასალევ ღვინოს დიდ ჭურჭელში, დაიჩოქებდა და ღმერთს შესთხოვდა :ღმერთო მოგვეცი კაცთა მშვიდობა, ჯანმრთელობა, მხიარულება, კარგად ყოფნა, ოქრო და ვერცხლი უთვალავი, რქოსანი საქონელი და ღორი ჯოგად, ქათამი და ბატი გროდ, მარანი ღვინით სავსე , ღენჭოპა (ნაჭუჭი) გულით სავსე, შემოაბრუნებდა საფერხავ გობს წაღმა. და სახლისაკენ წავიდოდა, კართან მისული დაუძახებდა დიასახლისს: კარი გამიღე, დიასახლისი უპასუხებდა - რა მოგაქვს?

კაცთა მშვიდობა, ჯანმრთელობა, მხიარულება, კარგად ყოფნა, ოქრო და ვერცხლი, რქოსანი საქონელი, ღორი ჯოგად, ბატი გროდ, სიმსუქე, უხვი მოსავალი, მარანი ღვინით სავსე, ძვალი ტკვინით სავსე, ღონჭოპო (ნაჭუჭი) გულით სავსე. კარი გამიღეეს კითხვა -პასუხი სამჯერ უნდა განმეორებულიყო. შედგამდა თუ არა სახლში ფეხს, მიულოცავდა სახლს, შემდეგ დადგამდა გობსა და ჩიჩილაკს შუა ადგილზე. გავიდოდა გარეთ, შემოიტანდა ცხემლის შეშას, მიულოცავდა ცეცხლს - ცეცხლო მრავალ ახალ წელს დაესწარი, შენი პატრონი კარგად გყოლოდეს და გადაიხრებოდა. ასე იქცეოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრებიც. შემდეგ ყველანი დაიჩოქებდნენ და ოჯახის უფროსი მამაკაცი შესთხოვდა ღმერთს: ღმერთო მოგვეცი კაცთა მშვიდობა და ჯანმრთელობა და კვლავ გაიმეორებდა ზემოთ მოტანილ ლოცვას, თან საფერხავ გობს და ჩიჩილაკს ატრიალებდა, რის შემდეგ სუფრაზე დაიდებოდა ყველაფერი, რაც ჰქონდათ გამზადებული და ყველანი სათითაოდ შეახებდნენ ხელს. ერთმანეთს მიულოცავდნენ ახალ წელს და ტკბილს ჩაუდებდნენ პირში. ოჯახის უფროსი ცეცხლს შეუჩუცხუნებდა მუგუზლით ისე, რომ ნაპერწკლები ავარდნილიყო, თან ლოცულობდა, შემდეგ ოჯახის უფროსი გარეთ გავიდოდა და თოფს გაისროდა.

თოფის გასროლა

ახალ წელთან შეხვედრის რიტუალი თოფის გასროლით მთავრდებოდა. ეს რიტუალი ახლაც სრულდება ოღონდ პიროტექნიკის გრიალით.

რატომ თოფების გასროლით? ამის შესახებ საინტერესო კორესპოდენციას აქვეყნებდა გაზეთი ,,ივერია''(1877 წ. 29) ოზურგეთიდან: ,,პირველი ენკენისთვე გურულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის დღეა. ამ დღეს ისინი დამდაგს ეძახიან, იმ მოსაზრებით, რომ ძველად ამ დღიდან იწყებოდა ახალი წელიწადი .წინა ღამით ერთის ყვირილით, ლოცვით და თოფის ცემით მიეგებებიან ამ დღეს და ახლაც, როცა ომიანობაა და მტრის ჯარი კარზედ გვიდგას ,არ დაივიწყეს გურულებმა ეს ჩვეულება, რის გამოც ახირებული მდგომარეობა წარმოსდგა. წარმოიდგენეთ ის დრო, როცა ბინდი ეცემა და დღე და ღამე ერთმანეთს შორდებიან, მასთან ძლიერი მოხშირებული წვიმა, როცა კაცს გარეთ გამოსვლაც კი ეშინელება, ამას თან დაურთევით ერთი ვაი ყიჟინა და ვაის და უის ყვირილი, აჩქარებული თოფის ცემა. ყოველ სოფელში და ყოველ ოჯახში ერთსა და იმავე დროს და მაშინ მიხვდებით თუ რა ახირებული ფეთება დაემართება იმათ, ვინც ეს ჩვეულება არ იცოდა, ამბ. რა იცოდნენ რუსის ოფიცრებმა, რომ გურულები ამ თოფის გვახ-გუხით თავიანთ ,,ზაკვავებს'' და მავნე სულებს ეგებებოდნენ და აშინებდნენ...ბევრი მათგანი ფერმიხდილი გარბოდა თავიანთ უფროსებისაკენ და არწმუნებდნენ ,,ტრევოგაც'' ისმისო...კორესპოდენტი განაგრძობს: ამ დამდაგის წინა ღამეს აქ ,,შეფუცების'' ღამეს ეძახიან და ყველა ოჯახის წევრი ვალდებულია წარმოთქვას ხმამაღლათ, ყვირილით ხალხში ერთხელვე მიღებული ლოცვა და თან თოფებიც მიაყოლოსეს ამბავი ამ გვარად მოხდება ხოლმე: სახლის უფროსი შუა ღამეს გამუა გარეთ ეზოში, გამოაქვს თავისი სასროლი იარაღი და გაიძახის თითქოს მოეძინი ეძახდეს ხალხს მინარეთიდან სალოცავად და შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს:

,,მიღმართელნო, მოღმართელნო,
შორებელნო, ახლობელნო,
თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ,
ჩემსას ჯვარი დამიწერეთ,
ჯვარი აქა, ჯვარი აქა.

თან ისე დაიწივლებს, რომ ტანში ჟრუანტელი აგვლ-ჩაგვლის და მოჰყვება თოფის სროლას. ამას ,,გადაძახებას'' ეძახიან. ამ ჩვეულებას ყველა ისე ასრულებს ახლაც, როგორც ასი წლის წინათ. თუმცა მისი მნიშვნელობა ბევრს გურიაში ისე აღარ სწამს, როგორც უწინ სწამდათ. რას ნიშნავდა ეს გადაძახება? ყველა გურულს სწამდა, რომ ზოგიერთი კაცი და ქალი როცა მოხუცდებიან ზაკვავებათ გადაიქცე-

გვ-8

მრავალ შობა-კალანდას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მერის წარმომადგენელი გილოცავთ ახალ 2020 წელს!

პატივისცემით,
გიორგი თოიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. ლიხაური

გოჩა მდინარაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, დაბა ურეკი

ლევან კილაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, სოფ. მელექედური

კოტე ხომერიკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფ. შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

შობა-კალანდის რიტუალები გურიაში

სწამდა, რომ ზოგიერთი კაცი და ქალი როცა მოხუცდებიან ზაკვავებათ გადაიქცევიან, რომელთაც კუდიც გამოებმებათ და თვალიც უკვეთს და თან შეიძენენ იმგვარ თვისებას ,რომ ადვილად გადაიქცევიან სხვადასხვა გარეულ და შინაურ პირუტყვებად და ფრინველებად და ისე დასტრიალებენ ქვეყანას, რომ ვნება რამ მოუტანოს .მათი უფროსი ,,როკაპი'' ხალხის გონებაში,წარმოდგენილია,როგორც ერთი მახინჯი დედაკაცი ,რომელსაც უამრავი ქვეშევრდომი ჰყავს დედამიწაზე, ეს უკანასკნელნი ყველაფერს იტაცებდნენ როკაპისათვის შესაწირავად. გურულების აზრით ,ამისათვის საჭიროა ზემოთხსენებული ლოცვა და თოფის სროლა. შემდეგ ოვკახის ყველა წევრმა უნდა ,,შეიბეჭდოს''-მიიკრას თავზედ ოთხ ადგილას ვკვარად წმინდა სანთელი, ,,შეიბეჭდოს ,, ყველა შინაური პირუტყვი, ფრინველები,სახლ-კარი, ყანები და სხვა რაც ოვკახში საჭირო საგნად ითვლება. და ამ ღამეს ფრთხილად უნდა იყოს მთელი სახლობა და არ უნდა დაიძინონ, რადგან ,,ზაკვავებმა'',რომლებიც გაშმაგებული დარბიან , მათ ოვკახში არ შემოიაროონ''.

ბედობის დღე

ახალი წლის მეორე დღე ბედობის დღედ ითვლებოდა.იგი მომავალი წლის ბედობის, მოსავლის, ბედნიერების და ვკანმრთელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო საახალწლო რიტუალის მომზადების დროს ოვკახის ყველა წევრი ცდილობდა ახალი, კოხტად შეკერილი და სუფთა სამოსელი ცმოდათ. ყველა მოწოდებული იყო, ეს დღე ცეკვა-თამაშში და მხიარულებაში გაეტარებინა. ახალ წელს დიდ უბედურებად და საწყენად ითვლებოდა ოვკახში ან სხვაგან სადმე ჩხუბი და აურზაური აეტეხათ ვინმესთან ან პირიქით.

ოვკახის უფროსი ირჩევდა მეკვლესანუ როგორც გურიაში იტყოდნენ ,,კაფეხის''(კარგი ფეხის) ადამიანს. ოვკახიდან ცდილობდნენ არსად წასულიყვნენ და თუ ვინმე მეზობელი,ან ნათესავი ისურვებდა ,,კაფეხის'' პატრონის სტუმრობას, ასეთ შემთხვევაში მასთან უნდა წასულიყავით კოხტად და სუფთად გამოწყობილი თან მიგეტანათ ტკბილეული.თავი მხიაარულ ხასიათზე დაგეყენებინათ, ღვინო და სამელები ნორმალურად დაგელიათ და უკან დაუგვიანებლად გამობრუნებულიყავით.

ვინაიდან სესხება, გასესხება, ოვკახის ნივთების განათხოვრება და სხვა დაკავშირებულია გაწბილება, მოტყუება, დაკარგვა და გატეხვასთან, ამისათვის ამ დღეს არც ისესხებდნენ რამეს, იქნება იმას, ვისგანაც აპირებდა სესხებას, ,უარი ეთქვა და გაეწბილებინა, მთელ წელიწადს გაწბილებული იქნებოდა, არც გაასესხებდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო, დაჰკარგოდა, არც ითხოვდა და არც გაანათხოვრებდა რამეს, გურული გლეხი ირჩევდა ბედობის დღეს თავი დაეჭირა ამგვარი საქმიანობისაგან. ახალ წელიწადს არა თუ ცოტათი თუ ბევრათ შეუძლო პირები, ავადმყოფიც კი, თუ მას ოდნავ შეეძლო წამოდგომა, ყოველ ღონეს იხმარდა დაღამებამდე მაინც ლოგინში არ ჩაწოლილიყო და თავი არ შეეკონა (შეეკრა). ახალ წელიწადს ოვკახის უფროსი არიგებდა ოვკახის წევრებს დილით ადრე ამდგარიყვნენ (პატიჟი არ დასჭირებოდათ), ტანზე სწრაფად ჩაეცვათ (ტანსაცმელს მიგნებულ ადგილას ინახავდნენ, რათა მეორე დღეს საძებრად არ გახდომოდათ),ხელ-პირი დაებანა,საჭმელი ეჭამა, ერთიმეორეში არ ეჩხუბათ და დრო მხიარულებაში გაეტარებინათ.ამ დღეს ოვკახის არც ერთ წევრს დასაქმებაზე უარი არ შეეძლო ეთქვა, ვინაიდან ახალ წელს სასაუბრო ლექსიკონიდან ამოღებული იყო სიტყვები:,,არ შემიძლია'',,,მე არ ვიზამ'',ვერ გავაკეთებ'' და სხვა. ამ დღეს მშობლები არიგებდნენ შვილებს და სხვა ოვკახის წევრებს, წელში გამართული გაიარეთ, თუ არა მთელი წლის განმავლობაში წელმოტეხილი და დაჩაგრული იქნებითო.

აგუნას გადაძახილი

აგუნა საახალწლო და ყურძნის - სიუხვის სიმღერაამას კალანდას ბინდისას გადაძახების სახით მღეროდნენ. გურულისათვის ყველაზე მეტად ,,ბედობა და საბრძნილო'' დღე კალანდა-ახალი წელი იყო. ძველად გურული ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კალანდას რასაც ,,დაიბედებდა'' – რასაც კი ისურვებდა,იმითი მთელ წელიწადს მეორე კალანდამდე უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამიტო შუაღამიდან იწყებოდა და მთელი დღე სურვილ-ნატვრით იყო გადაქცეული. ეს გრძელდებოდა ექვსი დღე მაინც - ნათლისღებამდე .. სურვილების გამოთქმას ოვკახის წევრები იწყებდნენ ალიონზე - დალოცვისას, სადილზე და ბინდისას, აგუნას გადაძახების დროს.. მუდამ სტუმრისა და ვკარიანობის მოყვარული გურული კალანდა დღეს მეზობლებს მოწყდებოდა,ის სასტიკად იცავდა ოვკახურ კარჩაკეტილობას, ალბათ, მისი რწმენით, ამით კერძო საკუთრების განმტკიცებას უწყობდა ხელს. კალანდას ყველაფერი ინდივიდიალური-ოვკახური იყო, ნატვრა და სურვილი მხოლოდ და მხოლოდ ოვკახს ეხებოდა -ეზოს არ გაცილდებოდა. გურული მდიდრდებოდა ოვკახის საკეთილდღეო სურვილილებით: კაცის სულით,ვკანღონით ყოველივე ,,საყოლით'', ხოლო ღვინოს, მარანს ,ვაზსა და მის ნაყოფს საღამოსათვის შემოინახავდა.

დაბინდებისას მამაკაცები, დიდი და პატარა მარანთან მივიდოდნენ. მიიტანდნენ გობს, რომელზედაც ეწყო: ღორის თავი,საგუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოვკახის უფროსი შუა მარანში, ჭურის თავზე გობს დადგამდა ,,სამ ღერ'' სანთელს (სიგრძით 6-8 სმ.) გობის სხვადასხვა კუთხეში სიმეტრულად მიამაგრებდა და ,,მოუკიდებდა'' გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა:,,მშვიდობის წელიწადი გაუთენოს მის ოვკახს, მისცეს უხვი მოსავალი, ღვინის და ყოველგვარი ნამუშევრის. სასმისით დალევდა ღვინოს, ზედ დააყოლებდა ხაჭაპურს და ღორის თავთან ანთალს - ერთ ლუკმას, სასმისს უფროსობის კვალობაზე სხვას გადასცემდა – დანაყრების შემდეგ იწყებოდა აგუნას გადაძახება-

აგუნას სიმღერა

მიდიან საწნახელთან, ყველას ხელში აქვს კომბალი-ყურძნის ჩასაჭყლეტი ურო, ცული, ნავკახი, როვოტანა (ხვედა) ან მოკლე, მაგრამ მსხვილი ,,ტუკი'',ს აწნახელის გარშემო ჩაირაზმებიან და მოიმარჯვებენ ,,იარაღს.''

და დამძახებელი ძლიერ ხმამაღლა მღერის:

აგუნა,აგუნა გადმეიარე...
ბანვი ასკანა გადმოიარეე...

დანარჩენები ბანს შესძახებდნენ:ხო-ხო-ხო-ხო-ხო-იო და რიტმულად ურახუნებდნენ საწნახელს.

გადამძახებელი განაგრძობს:
ჩვენს მამულში ყურძენიო,
სხვის მამულში ფურცელიო!
ბანები:
ხო-ხო-ხო-ხო და იო-იო
გადამძახებელი:
ჩვენს ქალებს ჩერია-კვირისთავიო,
სხვის ქალებს ,,ჩხირი'' და ვირის თავიო.
ბანებიც უბანებდნენ...

გადამძახებელი ზურგზე ,,მოიკუტურებს'' პატარა ბიჭს, ჩამოეკიდება ხელით ვაზს (ამით მან ისურვა ვაზსაც ისეთივე მძიმე მტევნებიმოესხა,როგორც მას კიდია ზურგზე), გადასძახებს დაგადაიმღერებს:

ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო,
სხვის მამულში კიმპალ, კიმპალიო.
ბანებიც უდასტურებენ.

ეს სიმღერა გადაძახება თითქმის ერთ საათს გრძელდებოდა მთელი კუთხე-მიდამო, მთელი გურია განგაშით იყო მოცული.ახლო მეზობლები სიმღერას ერთი მეორეს აცლიდნენ, ერთი მეორეს ყურს უგდებდნე, ერთი რომ ერთ მუხლს იმღერებდა, მეორეს იმღერებდა მეზობელი. ამრიგად , სიმღერა, რახუნი, ბანი, რიტმული და ჰარმონიული გახლდათ.(აპოლონ წულაძე ,,ეთნოგრაფიული გურია'').

საახალწლო ნაძვის ხე

ახალი წლის დღესასწაულისათვის ყველა ოვკახში დგამენ ნაძვის ხეს, რომელიც უფრო საშობაო ატრიბუტია. ამის შესახებ არსებობს გადმოცემა: ,,როდესაც მცხოვარი იშვ,ა მას მთელმა სამყარომ სცა თაყვანი,ა ნგელოზები უგალობდნენ, მწყემსებმა თაყვანი სცეს,მოგვებმა ძღვენი მიართვეს. მართალ იოსებს სურდა გამოეხატა თაყვანისცემა ახალშობილი ქრისტესთვის და რადგან ღარიბი დურგალი იყო, ბევრი საშუალება არ ჰქონდა, პატარა ნაძვი მოჭრა და ახალშობილ ქრისტეს მიართვა. ნაძვის ხე ზეციდან გარდამოსილი ვარსკლავებით მოირთო, თავზე კი ერთი დიდი ვარსკლავი დაადგა .სწორედ ამ გადმოცემას უკავშირდება ნაძვის ხის დადგმის და მორთვის ტრადიცია, ნაძვი მარად მწვანე მცენარეა, მწვანე ფერი მარადიულობისა და სიცოცხლის ფერად არის მიჩნეული, ამიტომაც მოხდა მისი დაკავშირება მცხოვრის შობის დღესასწაულთან'' (გაზეთი ,,მადლი'' 2017წ.).

ღორის თავი

საახალწლო რიტუალში, ჩიჩილაკთან ერთად, აუცილებელია ღორის თავი. ხშირად კითხულობენ რატომ ღორის თავი. ამის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა: ღორი წმინდა ცხოველად იყო აღიარებული და მისი ჭამა აკრძალული იყო, მხოლოდ ერთხელ ახალი წლის სუფრის დასამშვენებლად გაიმეტებდნენ, ამასთან, როგორც წმინდა ცხოველს, ღმერთებს და ღვთაებებს სწირავდნენ.

მეორე თქმულება: ერთხელ წმინდა ბასილი სწირავდა და მის წინ ღორს გაურბენია, ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და მისი ხორცი არ იჭმეოდა. წმინდა ბასილი ჯვრით ხელში გასდევნია და როცა ღორი წყალში უნდა გადამხტარიყო, კუდზე ფეხი დაუბიჯებია. იმავე წამს ღორიდან ეშმაკი წყალში გადავარდნილა. ბასილმა ღორი აკურთხა და ქრისტიანებს ამის შემდეგ საჭმელად დაუწესებია.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 იანვარი	14 იანვარი	15 იანვარი	16 იანვარი	17 იანვარი	18 იანვარი	19 იანვარი
ღრუბელი 0+6	მზე -1+8	მცირე წვიმა +2+8	მზე ღრუბელი +3+12	მზე +5+13	ღრუბელი +4+14	მზე ღრუბელი +4+13
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა